საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 34/00 „20" ივნისი 2010 ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი ჯერენაშვილი

„20 ივნისი" 2010 წელი

ეგზ.N2

ობიექტი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 2
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 3
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.3
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.3
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.4
1.3 გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;	გვ.6
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.6
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ.6
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.7
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი	გვ.8
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.8
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები. დანართი	A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები. დანართი	B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 10 მარტის №29/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. იურიდიული მისამართი: ქ. ახალციხე, 0800. თამარ მეფის ქ.№11. ტელ: (+995 265) 2 14 34

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი - კახაბერ უშიკიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი); (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი).

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

ადმინისტრაცია - სახელმწიფო რწმუნებილის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (ორგანიზაციული კოდი 17 00).

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

აუდიტის შედეგად მნიშვნელოვანი ხასიათის გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია უარყოფითი ხასიათის ფინანსური და ეკონომიკური შედეგები არ დადგინდა.

III. ძირითადი ტექსტი.

1.მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრების და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილებით 2009 წლისათვის ადმინისტრაციას (ორგანიზაციული კოდი 17 00) კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 21 ერთეულით, ასიგნებების ზღვრული მოცულობა 580 ათასი ლარით. საბიუჯეტო განაცხადი ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე დამკიცებული ზღვრული მოცულობების შესაბამისად.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით (30/12/08; № 945) ადმინისტრაციას განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 580 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის ხარჯები - 550.0, არაფინანსური აქტივები - 30.0 ათასი ლარი), ხოლო მომუშავეთა რიცხვიანობა 21 ერთეულით.

2009 წლის 11 ივლისის №1410-რს კანონის შესაბამისად ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად გამოყოფილი ასიგნება შემცირდა 19.3 ათასი ლარით და შეადგინა 560.7 ათასი ლარი. (მათ შორის ხარჯები - 548.7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივები - 12.0 ათასი ლარი).

,,საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს 2009 წლის 11 ივლისის №1410- რს კანონის და 2009 წლის 15 ივლისის ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა №370 - ის შესაბამისად ,,სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლი შემცირდა 1.3 ათასი ლარით, ხოლო ,, არაფინანსური აქტივების მუხლი" შემცირდა 18.0 ათასი ლარით.

,,შრომის ანაზღაურების მუხლში" დაზუსტებული გეგმის ნაკლებობა 2.0 ათასი ლარით დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გამოწვეულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 14 მაისის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 208 - ის საფუძველზე, აღნიშნული მუხლიდან ,,სოციალური უზრუნველყოფის" მუხლში 2.0 ათასი ლარის გადატანით (თანამშრომლისათვის დეკრეტული შვებულების ასანაზღაურებლად).

,,არაფინანსური აქტივების" მუხლში დაზუსტებული გეგმის მეტობა 82.8 ათასი ლარით დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გამოწვეულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 16 იანვრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 3 - ის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან აღნიშნულ მუხლში 82.8 ათასი ლარის გადატანით (სამსახურებრივი ავტომანქანის შესაძენად).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 9 დეკემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 714 - ის საფუძველზე, განხორციელდა მუხლობრივი შიდა გადანაწილება, კერძოდ ,,შრომის ანაზღაურების მუხლი" შემცირდა 4.0 ათასი ლარით და გაიზარდა ,,საქონელი და მომსახურების მუხლი" შესაბამისი თანხით.

მუხლობრივი გადანაწილება განხორციელებულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მთლიანი ასიგნების 10 % -ის ფარგლებში.

1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

ეკონომიური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლობრივმა გადანაწილებამ მიიღო შემდეგი სახე: (იხ. ცხრილი № 1)

ცხრილი № 1 (ათას ლარებში)

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	ბიუჯეტის ცვლილება 04.12. 09	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	სკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა ფაქტიურს ა და სკასო ხარჯებს
2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული	580.0	560.7	643.5	-	-	-	-	-
ხარჯები	550.0	548.7	548.7	548.6	548.6	548.6	679.5	130.9
მათ შორის								
შრომის ანაზღაურება	387.0	387.0	381.0	381.0	381.0	381.0	381.0	0.0
თანამდებობრივი სარგო				240.0	240.0	240.0	240.0	0.0
პრემია				141.0	141.0	141.0	141.0	0.0
საქონელი და მომსახურება	162.4	161.1	165.1	165.0	165.0	165.0	168.0	3.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება				22.4	22.4	22.4	22.4	0.0
მივლინებები				3.1	3.1	3.1	3.1	0.0
ოფისის ხარჯები				88.9	88.9	88.9	93.1	4.2
წარმომადგენლობითი				0.9	0.9	0.9	0.9	0.0

ხარჯები								
ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები				43.1	43.1	43.1	41.9	-1.2
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				6.5	6.5	6.5	6.5	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	0.6	0.6	2.6	2.6	2.6	2.6	2.6	0.0
სოციალური დახმარება				0.5	0.5	0.5	0.5	
დამქირავებლის მიერ გაწეული სოც. დახმარება				2.1	2.1	2.1	2.1	
ძირითადი კაპიტალის მოხმარება							127.9	127.9
არაფინანსური აქტივები	30.0	12.0	94.8	94.5	94.5	94.5	-	-
შენობა ნაგებობები				8.1	8.1	8.1	-	-
მანქანა დანადგარები				86.4	86.4	86.4		

2009 წლის ფაქტიურსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა შეადგენს 130.9 ათას ლარს, რაც გამოწვეულია ძირითადი კაპიტალის 127.9 ათასი ლარის მოხმარებით (დარიცხული ცვეთა).

ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ასახული მონაცემები შესაბამისობაშია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შესრულების მონაცემებთან.

ადმინისტრაციის პერსონალსა და მის მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები: (იხ. ცხრილი № 2)

ცხრილი № 2 (ათას ლარებში)

ხარჯი	ერთეული	გაწეული ხარჯი 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	21	239.9	0.9
პრემია	21	140.9	0.6
საკომუნიკაციო ხარჯი	21	9.2	0.04
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	4	29.9	0.5
ტექმომსახურება	4	12.0	0.25

1.3 გრანტების (ფულადი და სასაქონლო) მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა;

2009 წლის ბიუჯეტის მიხედვით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამცხე-ჯავახეთში რაიმე სახის გრანტი არ გამოყოფია.

2.ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):

2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამცხე-ჯავახეთში 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ,,არაფინანსური აქტივების მუხლით" გამოეყო 30.0 ათასი ლარი, რამაც ცვლილების შემდეგ შეადგინა 12.0 ათასი ლარი, ხოლო პრეზიდენტის ფონდიდან 82.8 ათასი ლარის გამოყოფის შედეგად დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 94.8 ათასი ლარი. ვალდებულებამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 94.5 ათასი ლარი, ანუ 0.3 ათასი ლარით ნაკლები. გამოყოფილი ასიგნება მოხმარდა ერთი ერთეული ავტომანქანის შეძენას (82.8 ათასი ლარი), 8.1 - ათასი ლარი არასაცხოვრებელი შენობის შეძენას და სხვა მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენას (3.6 ათასი ლარი).

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №13 09.01.09-ის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის ფონდიდან გამოეყო 82.8 ათასი ლარი, სამსახურებრივი ავტომანქანა - ,,ტოიოტა ლენდკრუიზერ-პრადოს" შესაძენად.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის №378 განკარგულების შესაბამისად, და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 2 ივლისის №1-1/1630 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამცხე-ჯავახეთში უსასყიდლოდ გადაეცა ორი ერთეული სატრანსპორტო საშუალება (ერთი ერთეული - ბულდოზერი და ერთი ერთეული - გრეიდერი) საბალანსო ღირებულებით - 823.8 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს №653 28.10.09 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამცხე-ჯავახეთში უსასყიდლოდ გადმოეცა ორი ერთეული მსუბუქი ავტომანქანა (,,ფორდ ფოკუსი" და ,,შევროლე") ღირებულებით 21.8 ათასი ლარი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2968 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას სამცხე-ჯავახეთში უსასყიდლოდ გადაეცა ქ. ახალციხეში 54.4 კვ.მ უძრავი ქონება საბალანსო ღირებულებით 17.9 ათასი ლარი.
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ,,ქეა საერთაშორისო კავკასიაში"-ს მიერ უსასყიდლოდ გადმოეცა ავტომანქანა ვაზ - 21214 ღირებულებით - 6.5 ათასი ლარი და კომპიუტერული ტექნიკა - 2.4 ათასი ლარის ღირებულებით.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას შს მინისტრის ბრძანება №815 01.07.09-ის შესაბამისად უსასყიდლოდ გადმოეცა ექსპლოატაციიდან გამოსული სხვადასხვა დასახელების მეორადი ინვენტარი - 14.4 ათასი ლარის ღირებულებით, რაც დამოუკიდებელი აუდიტორი ლევან ბერიძის აუდიტორული დასკვნის (27.11.09) საფუძველზე ბალანსზე იქნა აყვანილი 2.5 ათასი ლარის ოდენობით.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიულ ორგანოს ახალციხის არქივს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (15.10.09) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისგან სამცხე-ჯავახეთში უსასყიდლოდ გადაეცა 0.18 ათასი ლარის ღირებულების საოფისე ინვენტარი.

ს.ს.ი.პ. ,, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" №544 11.09.09 ბრძანების შესაბამისად ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა 108.4 ათასი ლიტრი დიზელის საწვავი 100.8 ათასი ლარის ღირებულებით, საიდანაც 13.0 ათასი ლიტრი გადაცემულია მუნიციპალიტეტებზე მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა:(იხ. ცხრილი № 3)

ცხრილი № 3 (ათას ლარებში)

დავალიანების დასახელება	2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ზრდა+/- შემცირება საანგარიშო პერიოდში
დებიტორული დავალიანება	0.0	0.0	0.0
კრედიტორული დავალიანება	132.8	137.7	+4.9

კრედიტორული დავალიანება გაზრდილია 4.9 ათასი ლარით, რაც განპირობებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს (№11-08 10.11.09) სააღსრულებლო წერილის თანახმად ,,ენერგია XXI" –ის მიმართ ელექტროენერგიის ძველი დავალიანების 13.5 ათასი ლარის იძულებით ანაზღაურებით.

დებიტორული დავალიანებები არ ირიცხება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები წარდგენილია სრულად. ამასთან ერთად წლიური ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) წარდგენილია აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

IV აუდიტის (ანალიზი) აქტის სამართლებლივი სტატუსი, პაუხისმგებლობები და უფლებამისილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.

მთავარი აუდიტორი:	ხელმოწერა/თარიღი
კახაბერ უშიკიშვილი	20.05.2010

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის ჩატარების პერიოდში, ადმინისტრაციაში, პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

ლაშა ჭკადუა - სახელმწიფო რწმუნებული

ზაზა კიკნაველიძე - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე

გოჩა ბერიძე - საფინანსო სამსახურის უფროსი

ზურაბ ლონდარიძე - მთავარი ბუღალტერი

დანართი B - გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

აუდიტის (ანალიზი) პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ";
- ფინანსთა მინისტრის საქართველოს კანონი „გრანტის შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ფორმების დამტკიცების შესახებ".
- ბალანსები და მისი დანართები; ხარჯთანუსხის შესრულების ანგარიში; ფინანსთა სამინისტროს წერილები.